ხელშეკრულება №22-19/120

ქ. თბილისი

07 ნოემბერი 2022 წ.

ერთის მხრივ, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მეტალ ფორს ჯორჯია" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ემზარ დარიბაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებულ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

180 (ასოთხმოცი) მეტრი ლითონის ტესტირებული მილის 33.7/3 (შემდგომში - საქონელი) შესყიდვა (CPV კოდი: 44316500) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.2. შესყიდვის ობიექტის, 1 მეტრი ტესტირებული მილის ღირებულება შეადგენს 8,80 (რვა ლარი და 80 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1584,00 (ერთი ათას ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშწორება განხორციელდება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის ხელმოწერებით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოჯისტიკოსი, მძღოლი გიორგი ჯანიკაშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ "გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი"	შპს "მეტალ ფორს ჯორჯია"
ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7 ს/კ: 204 862 247 ტელ: 232-47-16; 232-59-90 ელ. ფოსტა: tmi@mining.org.ge სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 708727228	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №118 ს/კ: 404 867 649 ტელ: 591-15-14-14 ელ. ფოსტა: egaribashvili@mfg.com.ge სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE55BG0000000 895313700
სსიპ "გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის" დირექტორი: _____ ნ. ჩიხრაძე	შპს "მეტალ ფორს ჯორჯია"-ს დირექტორი: _____

LEPL G. Tsulukidze Mining Institute
Digitally signed by LEPL G. Tsulukidze Mining Institute
Date: 2022.11.07 10:18:24 +04'00'

Emzar Garibashvili 01011041895
Digitally signed by Emzar Garibashvili
Date: 2022.11.09 13:13:47